საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3168-02
16/10/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე,, რექტორის 2018 წლის 20 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N2034-02 ბრძანების, რექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N3002-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივლისის N8 და 2018 წლის 3 ოქტომბრის N11 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **მენეჯმენტის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **გივი ჭანუყვაძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის სკოლა.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

ქეთევან ლაკირბაია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი